HISTORY, ART, LITERATURE and CULTURE
IN BLACK SEA REGION and SOUTH CAUCASUS

(HALC-2017)

September 20-21
Tbilisi, Georgia

Technical Editor
Mariam Glakhoshvili

Publisher
International Black Sea University, LLC

Designer
Nini Leluashvili

Publisher
IBSU

The views and opinions expressed in the proceedings are those of the authors and do not necessarily reflect the official policy or position of the conference organizers.

All rights reserved. No parts of this publication may be reproduced copied or transmitted in any form or by any means.

© International Black Sea University, LLC

e-proceedings are avaliable at www.halc.ibsu.edu.ge
Contact: halc@ibsu.edu.ge

CONTENTS

WELCOME MESSAGE FROM THE CONFERENCE CHAIR.....13
Kadir Demirkıran

KEYNOTE SPEAKERS

The Key Figures of Polish-Georgian Relations.....17
Mariusz Maszkiewicz

Culture of Living in the Traditional Bulgarian House.....18
Bisser Kozlev

ART SECTION

I: English Section

Bridging the Two Cultures: Georgian Contemporary Artists Exhibited in the US.....21
Irina Bakhtadze

II. Georgian Section

Some Aspects of Creating Television Product.....31
Nino Gelovani

The Image of the Rider in a Small Plastic Metal of Pre-Christian Georgian Art.....39
Maia Izoria

CULTURE SECTION

I: English Section

Anthropology of Alcohol Drinking and Toasting in
Early Modern Georgia and Caucasus.....49
Giorgi Kipiani

Ukraine's Tourism Industry Transformation Since 1991.
Opportunities and Challenges in Tourism and Hospitality Industry Nowadays.....57
Anastasia Karpliuk

Moslem Architectural Monuments in Georgia as means of
Cultural Dialogue Promoting Tourism.....67
Tinatin Kublashvili

მხედრის გამოსახულება წინაქრისტიანული ქართული ხელოვნების ლითონის მცირე პლასტიკაში

The Image of the Rider in a Small Plastic Metal of Pre-Christian Georgian Art

მაია იზორია
დოქტ. თბილისის აპ. ქუთათელაძის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
ელ-ფოსტა: maiaizo@hotmail.com

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნებში აღმოჩენილი ბრინჯაოს მხედრის პლასტიკური ნიმუშები, რომელთა გავრცელებაც ძვ.წ. 2-1 ათასწლეულების მიჯნიდან იწყება. მათ შორისაა კავკასიაში უძველესი, ძვ.წ. 13-12 საუკუნეების 1 ნახ-ით დათარიღებული ცხენოსნის რელიეფური ფიგურაც (თრელის აბზინდა). ქანდაკებისა და საკულტო საგნის შემამკობელი პლასტიკის გარდა, მხედრის ნიმუშებს მიეკუთვნება მგელზე გადამჯდარი მამაკაცის ძალზე ორიგინალური კომპოზიცია (ბორნიღელე) და საოქრომჭედლო ძეგლებზე გადმოცემული რქოსან ცხენზე ამხედრებული ფიგურები. მეცნიერები თვლიან, რომ კავკასიაში მიკვლეული ანთროპომორფული გამოსახულებების მსგავსად, მხედრის მხატვრული სახეც სიახლოვეს იჩენს ეგეოსურ სამყაროსთან და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის კულტურებთან. ამ მდიდარი მასალის იკონოგრაფიული და სტილური ნიშნების განზოგადების საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს საქართველოში აღმოჩენილი ცხენოსნის გამოსახულებათა ტიპოლოგია და წინაქრისტიანული რელიგიის საკრალურ სივრცეში მათი მოქმედების არეალი.

საკვანძო სიტყვები: მხედარი, პლასტიკა, იკონოგრაფია, სტილი.

Abstract

Distribution of the rider's imagery in the Caucasus Starting from the II-I millennium. They are primarily a burial monuments, which appears as a small sculpture as well as artistic elements of cult and ritual objects. The majority of scientists believe that the images of the rider's equipped with elements of the solar symbolic are warrior-gods' myths. It is noteworthy that the monuments found in the Caucasus in the artistic interpretation of the Rider reveal more closely to the Aegean World and the Eastern Mediterranean cultures.

These samples collected in the territory of our country resemble almost every variant of the iconography of the world in the modern world; these are the sculptures of the goddesses (Murgucha, Zaisi, Egrata, Makhvilauri) on horseback. Racha village in the vicinity of the Ghebi there was a bronze sculpture buckle of the goddess of the front of the horse-deer two-dimensional image.

Iconography of the male rider's figures is more diverse. It is sometimes equipped with armor and sword (Trale's tomb), sometimes a high helmet hides (Tsageri treasure) and sometimes they hold the wand, which looks like a spear (Sulori treasure). Particularly numerous are the naked figures of jockeys, which have a sharply separated phallus (Brilli, Kldeeti, Stepantsminda, Akhalgori, Kanchaeti and others). In the single case, the original composition was found where the man is sitting on the wolf (Borghegel's tomb). No less interesting is the face of the warrior on horseback riding on gem and gliptic monuments. On the basis of artistic generalization of this rich material it is possible to determine the typology of horses collected on the territory of Georgia and the area of their action in the sacred space of pre-Christian religion.

Keywords: Rider, plastic, iconography, style.

შესავალი

კავკასიაში მხედრის გამოსახულებიანი პლასტიკის გამოჩენა გვიანბრინჯაოს ხანას უკავშირდება. თუმცა მათი გავრცელება უფრო მოგვიანებით, ძვ.წ. 2-1 ათასწლეულების მიჯნიდან იწყება. ისინი უპირატესად ლითონში შესრულებული სამარხეული ძეგლებია, რომლებიც როგორც მცირე ზომის ქანდაკების, ასევე საკულტო-სარიტუალო ნივთების (შტანდარტის, აბზინდის, ზარაკის, ბალთის,, ცულის, თავსამკაულის - უმეტესად ეგრეტკის და საყურე-სასაფეთქლის, საკინძის, გლიპტიკის) შემამკობელი პლასტიკური ელემენტების სახით გვხვდება. თუ რა საფუძველი ჰქონდა მხედრის ფიგურის ასეთი სიმრავლით გაჩენას ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ერთნი მათ გავრცელებას ამ ეპოქისთვის ისტორიულად დამახასიათებელ საომარ მოქმედებებს უკავშირებენ, რაშიც ცხენოსანი მნიშვნელოვან საბრძოლო ერთეულს წარმოადგენდა (ამირანაშვილი, 1944:75). მეორენი კი, სოლარული სიმბოლიკის ელემენტებით აღჭურვილ მხედრის გამოსახულებებს სამიწათმოქმედო მითოსის საკრალურ არსებებად, მეომარ-ღვთაებებად განიხილავენ (სურგულაძე, 1993:172-173). ნიშანდობლივია, რომ საქართველოსა და ზოგადად კავკასიაში აღმოჩენილი ანთროპომორფული ფიგურების მსგავსად, მხედრის თემის მხატვრული ინტერპრეტაციაც მეტ სიახლოვეს ეგეოსურ სამყაროსთან და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის კულტურებთან ამჟღავნებს (Куфтин, 1949:247., Lordkipanidze, 2000:23., პაპუაშვილი, 2010:52., ჯავახიშვილი, 1984:75., ფანცხავა, მაისურაძე, 2001:153.). ისინი ერთმანეთს საკმაოდ გვანან პოზით, აღნაგობითა და საკრალური ატრიბუტებით, რაც მხედრის სახის, უნივერსალობაზე უნდა მიგვითითებდეს.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მოპოვებული ცხენოსნის ლითონის პლასტიკა ერთი მხრივ ეხმიანება იმდროინდელ მსოფლიოში არსებულ მხედრის იკონოგრაფიის თითქმის ყველა ვარიანტს. იმავდროულად კი მათზე დაყრდნობით საკუთარ ლოკალურ ვარიანტსაც ქმნის. ბავშვიანი და ბავშვის გარეშე გადმოცემული ცხენზე დადგმულ ტახტრევანზე გვერდულად მჯდარი ქალღვთაებებისგან (მუხურჩას ქვედა საკულტო მოედანი, ერგეტა 3-ის N4 კოლექტიური სამარხი, ცაიშის N1 კოლექტიური სამარხი, მახვილაურის კოლექტიური სამარხი) განსხვავებით, მამრი მხედრის ფიგურები იკონოგრაფიულად უფრო მრავალფეროვანია. ისინი ძირითადად მეომრებს განასახიერებენ: ხან გაჭენებულ ცხენზე სხედან და საბრძოლო მზადყოფნაში წარმოგვიდგებიან (თრელის N65 სამარხის ბალთის აბზინდა, ალავერდის ქანდაკება), ხანაც საომრად აღჭურვილნი მშვიდ პოზაში დგანან (ცაგერის ქანდაკება). ცალკეულ შემთხვევაში მხედრებს ხელში კვერთხივით აღმართული მახვილი უპყრიათ (სულორის ცული). განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია მეომარი მამრი მხედრის გამოსახულებათა ის ჯგუფი, რომლებიც შიშვლები მიაჭენებენ ცხენებს და მკვეთრად გამოყოფილი ფალოსი აქვთ (ბრილის N15 სამარხისა და საგარეჯოს სამაროვნის ქანდაკებები, ყაზბეგის განძის ზარაკები,

ახალგორის განძის, ყანჩაეთის სამარხისა და საძეგურის შტანდარტები, ბომბორისა და ეშერის სამაროვნების ეგრეტკები, ურსძუარის N1 სამარხის და კლდეეთის სამაროვნის აქტი N22-ის ბალთები და სხვა). მხედართა ამ რიგს შეიძლება მივაკუთვნოთ შიშველი მამაკაცის ფიგურაც, რომელიც სავარაუდოდ, მგელ-ძაღლისა თუ მელიის ფიგურაზე ზის (ბორნიღელეს N32 სამარხი). ასევე მასავით განცალკევებით დგას ბრინჯაოს ბალთა, სადაც ცხენ-ირმის პროტომაზე ამხედრებული ადორაციის პოზაში გადმოცემული ქალია გამოსახული (ღების ბალთა). როგორც ჩანს, მხედრის თემის სემანტიკური მნიშვნელოვანების გამო მისმა იკონოგრაფიულმა ვარიანტებმა ოქრომჭედლობის (ვანის N6 სამარხის საყურე-სასაფეთქლე, ვანის N9 სამარხის თავსამკაული, ყაზბეგის განძის საკიდები და სხვა) სფეროშიც შეაღწია და იმდროინდელი რწმენა-წარმოდგენების საკრალურ სივრცეში მხედრის სახე კიდევ ერთი ნაირგვარობით წარმოაჩინა.

ამ ზოგადი მიმოხილვითაც ცხადად ჩანს ის მრავალფეროვანი მასალა, რომელიც მხედრის გამოსახულების ტიპოლოგიურ სახესხვაობებს თვალსაჩინოს ხდის. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს თემა ძირითადად არქეოლოგიური კუთხით განიხილება და ისიც, ანთროპომორფულ გამოსახულებებთან კონტექსტში. ამიტომ მკვლევარების წინაშე პრობლემათა მთელი წყება დგას, რაც არსებული მასალის იკონოგრაფიულ თუ მხატვრულ-სემანტიკურ და ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ანალიზს გულისხმობს. მათი შესწავლისას ინტერესს იწვევს საკულტო საგნების იდეურად მნიშვნელოვან მხატვრულ ელემენტებად არა მდედრი, არამედ მამრი მხედრის გააზრება, რომლის გამოსახულება ხშირად ჩართულია მრავალფიგურიან კომპოზიციებში. მაშინ როდესაც მხედარი ქალის ფიგურა უმთავრესად, დამოუკიდებელი ქანდაკების სახით გვხვდება და ერთეულ შემთხვევებში დასტურდება როგორც საკულტო საგნის ნაწილი. იგი ამავე დროს ბავშვიანი მხედარი ქალის ორიგინალურ სახეს წარმოშობს, რომლის სამშობლო კოლხეთია.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული მხედრის გამოსახულებების ტიპოლოგიისა და მისი ვარიანტების საერთო იკონოგრაფიული და სტილური გადაწყვეტის შესახებ სრული სურათის შექმნა. სტატიის მცირე მოცულობის გამო მხედრების ვინაობასა და ფუნქციასთან დაკავშირებით მხოლოდ საკითხის დასმით შემოვიფარგლებით.

მხედრის ქანდაკებათა საკმაოდ ვრცელი გალერეა გვიჩვენებს, რომ მეომარი მამრი მხედრები არა მარტო სიმრავლით აღემატებიან ცხენოსან ქალებს, არამედ რამდენიმე ტიპოლოგიურ ჯგუფსაც ქმნიან. მათ რიცხვშია კავკასიაში უძველესი, ძვ.წ. 13-12 საუკუნეების 1 ნახ-ით დათარიღებული თბილისთან ახლოს, თრელის სამაროვანში მიკვლეული ბრინჯაოს ბალთის აბზინდა (სურ.1), რომელიც ცხენოსნის რელიეფურ ფიგურას წარმოადგენს. იგი გაჭენებულ ცხენზე აბჯარასხმული გვერდულად ზის და ოდნავ წამომართული პოზით საბრძოლო მზადყოფნას გამოხატავს. დაძაბულია მისი პროფილში გამოსახული მახვილი მოყვანილობის სახის ნაკვთებიც, მკაფიოდ ჩანს მხედრისა

და ცხენის მამაკაცური საწყისი. აბზინდას, როგორც ბალთის შესაკვრელის ფუნქციას გარკვეულწილად უნდა განესაზღვრა ვერცხლისა და წითელი მინის გეომეტრიული ელემენტებით (სამკუთხედი, რომბი, კვადრატი) რელიეფის დეკორატიულად შემკობა. ამ ეფექტებს აძლიერებს ადამიანისა და ცხენის სქემატური ფორმებითა და გეომეტრიზებული სილუეტით გადმოცემა. აგრეთვე მხედრის ერთგვარად მანერული პოზა, რომელსაც სხეულის კონტრაპოსტით ჩვენება (თავი და ფეხები პროფილში, ტორსი ფასში) და გვერდულად ჯდომა იწვევს. მისი არქაული აღნაგობა ტალღოვანი თმის მაღალი ვარცხნილობით დაგვირგვინებული დიდი თავის, არათანაბარი სიგრძის მოხრილი ხელების, მოკლე ტანისა და ფასადის მხარეს, ცხენის მარჯვენა ფერდზე სწორად დაშვებული ქვედა კიდურების პროპორციული შეფარდებით იქმნება. იგი თითქოსდა ამსუბუქებს ცხოველის უკიდურესად უტრირებულ გამოსახულებაზე მხედრის მთელი სიმძიმით დაწოლას. მით უფრო, რომ მხედარი (11,4სმ) დიდად არ ჩამორჩება სიმაღლით ცხენს (12,5სმ).

ცხოველის ფიგურა შედარებით უფრო დახვეწილი და პროპორციულია. განსაკუთრებით მეტყველია მისი სამკუთხედებით აგებული ფაფრით გამახვილებული კისრის რკალი, რომელიც გეომეტრიულად განზოგადებული მოგრძო თავის მიმართულებასთან ერთად წინსწრაფვის შთაბეჭდილებას იწვევს. თუმცა იმავდროულად, გრძელი კუდისა და თხელი ფეხების საპირისპიროდ მოდრეკილ მოძრაობას სტატიკური ელემენტი შეაქვს ცხენის სრბოლის დინამიკაში. შეიძლება ითქვას, რომ მხატვრული გადაწყვეტის მხრივ, თრელის მხედარს ანალოგი არ მოეპოვება. იგი უნიკალურია თავისი მსუბუქი პლასტიკური ინტერპრეტაციით, ხატოვანი სილუეტით და ინკრუსტაციით მიღწეული დეკორატიული ეფექტებით, რომელიც აბზინდის ფუნქციას ექვემდებარება. ცხენზე გვერდულად ჯდომის თავისებურება რომ არა იგი მეომარი მხედრის იკონოგრაფიული ტიპის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება მიგვეჩნია. ამ პოზით კი, მეტ საერთოს პოულობს დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოსა (მუხურჩა, ერგეტა, ცაიში) და აჭარის (მახვილაური) რეგიონებში აღმოჩენილ ძვ.წ. 8-7 საუკუნეების 1 ნახ-ის ცხენოსან ქალებთან, რომლებიც მეორადი დაკრძალვის სამარხებიდან ამოღებული დამოუკიდებელი ქანდაკებებია. თრელის მხედართან მთელი რიგი ვიზუალური სხვაობისა და დროით-სივრცითი სიშორის მიუხედავად, გვერდულად ჯდომის მანერა მათ შორის სემანტიკური კავშირის არსებობაზე მსჯელობის საშუალებას გვაძლევს.

გვერდულად მჯდომარე ცხენოსანთან დაკავშირებული არქეოლოგიური და მითოლოგიური მასალის განხილვის საფუძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მხედრის ეს ტიპი სათავეს იღებს ახლო აღმოსავლეთის იკონოგრაფიიდან. ამ კულტურის ძეგლებზე გამოსახული მდედრი და მამრი მხედრები ცხოველებზე გვერდულად დადგმულ უნაგირზე ზიან და ღვთაებებს, ან უზენაესი ძალაუფლების მქონე პირებს განასახიერებენ. ფიქრობენ, რომ მოგვიანებით, მხედრის ამ ტიპმა ადაპტაცია განიცადა ეგეოსის კულტურაში (Voyatzis, 1992:267), რომელიც ღვთაებრივობის ხაზგასასმელად უნაგირის ატრიბუტს ყოველთვის არ მიმართავდა და მხოლოდ გვერდული პოზის ჩვენებით შემოიფარგლებოდა. ამგვარად წარმოდგენილი თრელის მხედარი სავარაუდოა, რომ აღმოსავლური ტრადიციისამებრ ღვთაებას, ან

მაღალის სტატუსის მქონე პირს განასახიერებდა და სამარხის მფლობელის დამცავი ფუნქცია, აპოტროფეული დანიშნულება ენიჭებოდა. ცხენოსნის გვერდულად ჯდომის მანერამ, როგორც მისი ღვთაებრივობის გამომხატველმა ნიშანმა, იგი საბოლოოდ, მეომარი მხედრის იკონოგრაფიული ტიპის ერთ-ერთ ნაირსახეობად ჩამოაყალიბა.

ამ სახის მხედრის კიდევ ერთ ვარიანტს წარმოგვიდგენს ცაგერის (ლეჩხუმი) ცხენოსნის ბრინჯაოს ქანდაკება (სურ.2), რომელმაც ჩვენამდე ნაწილობრივ მოტეხილი მარჯვენა ხელით და მსუბუქად დაზიანებული ცხვირით მოაღწია. იგი შემთხვევითი მონაპოვარია და დანამდვილებით არ ვიცით რა დანიშნულება უნდა ჰქონოდა. მიუხედავად იმისა, რომ ცაგერის ნიმუში თრელის მხედარზე საკმაოდ გვიანდელია და ძვ.წ. 8ს-ით თარიღდება, ცხენოსნის არქაული ხასიათით, ცხოველის პროპორციულობით, მისი თავისა თუ კისრის უკიდურესი უტრირებით და წინა და უკანა ფეხების საპირისპირო მოძრაობაში გამოსახვით იგი წინამორბედ ძეგლს მთლიანად ემხრობა. თუმცა ქანდაკებაში ასევე შეინიშნება ახალი ეპოქის შესატყვისი თვისებები.

ამ მხრივ პირველრიგში ყურადღებას იპყრობს მხედრის მაღალი კონუსური ჩაფხუტი, რომელსაც წინ მოდრეკილი წვეტი აქვს და გარკვეულწილად ხაზს უსვამს მოგრძო ოვალური სახიდან ძლიერად გამოკვეთილ ნიკაპს. პლასტიკურად გადმოცემული ნაკვთებიდან გამოყოფილი ჩაღრმავებული თვალები კიდევ ერთ შტრიხს ქმნის მხედრის მეტად სახასიათო სახეში. იგი ცხენზე ჯდომის თავისებური მანერითაც გამოირჩევა. უტრირებული ტორსი მის მხედრულად გამართულ პოზას თვალსაჩინოს ხდის. მამაკაცი თითქმის ცხოველის გავაზე ზის და მკვეთრად მოხრილი ტანთან შედარებით მოკლე ფეხებითა და თავისკენ მოზიდული ოდნაც აწეული მუხლებით ცხენს წინა მხარეს მჭიდროდ ეკვრის. მკერდთან მიტანილ მარცხენა ხელში მას ოვალური საგანი უჭირავს. ცხენოსნის გამოსახულების პარადულობას არა მარტო მისი პოზა და მაღალი თავსაბურავი, არამედ სამოსის ატრიბუტებიც განსაზღვრავს, ისეთი როგორიცაა მხრებზე შერჩენილი სავარაუდოდ, მოსასხამის ფრაგმენტი და წელზე რელიეფურად შემორტყმული ფართო ქამარი. ზურგზე რელიეფურად იკვეთება კაპარჭის ნაწილიც. ამ დეტალებისა და ზოგადად გამოსახულების სკულპტურული მოდელირების საფუძველზე მხედრის პერსონაჟის ერთგვარი მნიშვნელოვანებაა მიღწეული. მის იკონოგრაფიულ სქემაში ჩართული ატრიბუტები ამით ის სემანტიკური სიმბოლოები ხდებიან, რომელთაც მხედრის არსისა და დანიშნულების წარმოჩენა შეუძლიათ.

ეს პირველრიგში ეხება ცაგერის ცხენოსნის თავსაბურავს, რომლის ორიგინალურ ფორმას „ფრიგიულ“ ჩაფხუტს ამსგავსებენ და სკვითურ-ირანულ, ანატოლიურ თუ ელინისტურ-რომაული ძეგლების საფუძველზე ღვთაებათა, ან ღვთის შვილთა სატარებელ ატრიბუტად განიხილავენ (ამირანაშვილი,1944:81). სინქრონული პერიოდის ნიმუშებიდან ასეთი თავსაბურავი მხოლოდ ბორნიღელეს N32 სამარხში საკიდის სახით აღმოჩენილ ფეხოსან მეომარს ახურავს. იგი კავკასიაში მოგვიანებით გვხვდება ძვ.წ. 6-5 საუკუნეების „სომხური სამეფოს“ სამარხეულ ძეგლებზე (პარავაკარი, აირუმი), სადაც ჩაფხუტიანი ფეხოსანი მეომრები საკულტო საგნის დამაგვირგვინებელ ნაწილებად გვევლინებიან. მათ ამასთანავე უჩნდებათ

წელზე შებმული განიერი ქამარი, რომელიც კავკასიაში დაახლოებით, ცაგერის მხედრის შექმნის პერიოდში საკულტო-სარიტუალო საგნის დანიშნულებით ვრცელდება. ამ რანგის ატრიბუტად სარტყლის ჩამოყალიბებას როგორც ჩანს, საფუძვლად დაედო ის მითოლოგიური წარმოდგენები. რომლის მიხედვითაც იგი ღვთაებათა კუთვნილ, ან უზენაეს პირთა (ალბათ, უმაღლესი ქურუმი, ან ხელმწიფე-მხედართმთავარი) სატარებელ ატრიბუტად ითვლებოდა.

ცაგერის ნიმუში ჯერჯერობით ერთადერთია, რომელიც ასეთი თავსაბურავით აღჭურვილ სარტყლიან ცხენოსანს წარმოგვიდგენს. მას ხელში უჭირავს ღვთაებრივობის გამომხატველი კიდევ ერთი ნიშანი - სოლარული ფორმის ოვალური საგანი, რომლის დიდი იშვიათობა იმ პერიოდის ძეგლებში მხედრის პერსონაჟის რჩეულობაზე უნდა მიგვითითებდეს. საქართველოსა და ზოგადად კავკასიის (დაღესტანი, ჩეჩნეთი, ყაბარდო-ბალკარეთი, სომხეთი, ყარსი) ანთროპომორფულ პლასტიკაში ამ საგანის გავრცელება მხოლოდ ანტიკური ხანიდან, ძვ.წ. 6-5 საუკუნეებიდან დასტურდება.

სემანტიკურად მნიშვნელოვანი ატრიბუტების სიმრავლის მიუხედავად, ცაგერის ბრინჯაოს ქანდაკება ჩაფხუტიან ფეხოსან მეომრებზე აღმატებული ალბათ უფრო, ცხენის წყალობით უნდა გამხდარიყო, რომლის საკრალურობის შესახებ როგორც აღმოსავლური, ასევე ინდოევროპული წყაროების მითოლოგიური ასოციაციები გვარწმუნებენ. ამ კულტის სიძველეს სხვადასხვა კულტურებში არსებული ცხენის ღვთაებებიც ადასტურებენ. ისინი დაკავშირებულნი არიან მიწისქვეშა სამყაროსთან, მფარველობენ ნაყოფიერებასა და ცხოველებს, გააჩნიათ დამცავი ფუნქცია. ცხენი, როგორც ღვთიურობის განმასახიერებელი ცხოველი როგორც ჩანს, თავის თვისებებს მასზე ამხედრებულ პირსაც გადასცემდა. შესაძლოა სწორედ ამიტომ, ცხოველის გამოსახვის მხატვრული კონცეფცია ზემოთ განხილულ ნიმუშებში თითქმის იდენტურია.

ცხენის უკიდურესად დახვეწილი პროპორციებით გადმოცემას ვხედავთ სულორში (იმერეთი, ბაღდადის რაიონი) აღმოჩენილ ძვ.წ. 8ს-ის ბრინჯაოს ცულის ყუაზე აღმართულ წყვილი მხედრის პლასტიკაშიც (სურ.3). ამ შემთხვევაშიც ყურადღებას იქცევს ცხენების უტრირებული თავისა და დრუნჩის, კისრის მოქნილი რკალის, ნაქანდაკარი ტანისა და მძიმედ დაშვებული გრძელი კუდის მოძრაობა. ცაგერის ნიმუშის მსგავსად, ცხენებს განზე გადგმული სწორი თხელი ფეხები აქვთ. საერთოა, მხედრების გამართული პოზა, თითქმის ცხენის გავაზე ჯდომის მანერა, უტრირებული ტორსისა და შედარებით მოკლე ფეხების არქაული აღნაგობა, ხელების მკერდთან განლაგება. მამაკაცები გრძელი სახის ოვალითა და პლასტიკურად დამუშავებული ნაკვთებითაც უახლოვდებიან ერთმანეთს. თუმცა სულორის მხედრების მხარ-ბეჭიან გამოსახულებებში, გრძელი განიერი კისრით და პლასტიკურად დამუშავებული ძლიერი ხელებით მეომრის სახე უფრო ადვილად ამოიცნობა. მათი საბრძოლველად მომართული პარადული დგომის პოზა ბუნებრივად აგვირგვინებს საკულტო-სარიტუალო დანიშნულების კოლხურ-ყობანურ ცულს, რომლის მფარველობა საომარ მოქმედებებში გამარჯვების საწინდრად ითვლებოდა. მხედრები ალბათ ამიტომაც არიან რამდენიმე სახეობის საბრძოლო იარაღით აღჭურვილნი. მათ

მარჯვენა ხელის მტევნით კვერთხივით აღუმართავთ მახვილი, ხოლო მხარზე კაპარჭი კიდიათ, მეორე ხელში კი მშვილდი უჭირავთ.

საგანგებო ინტერესს იწვევს მხედრების კონუსური ფორმის ჩაფხუტის უჩვეულო პარალელები. სულორის ცულის ახლო პერიოდის ძეგლებიდან იგი მხოლოდ ერთხელ გვხვდება მუხურჩას ძვ.წ. 7-6 საუკუნეების 1 ნახ-ის მეორადი დაკრძალვის სამარხში აღმოჩენილ მამაკაცის წელზედა ქანდაკებაზე, რომელიც მეომარს სრულებითაც არ ჰგავს. ამ ფორმის ჩაფხუტით თავდახურული ძვ.წ. 6-5 საუკუნეების „სომხური სამეფოს“ სამარხიდან (აირუმი) ამოღებული სკულპტურები კიდევ უფრო მეტად შორდებიან მეომრის სახეს. ისინი განასახიერებენ ქალღვთაებებს, რომლებსაც ხელში რქა და სასმისი უჭირავთ. ამ პარალელების მიხედვით ალბათ უფრო სავარაუდოა რომ კონუსური ფორმის ჩაფხუტის სიმბოლიკას ცულის როგორც საკულტო საგნის სხვა ასპექტებიც უნდა წარმოეჩინა, რასაც მისი ზოომორფული პლასტიკით დაგვირგვინებული ნიმუშებიც (ყულანურხვა-აფხაზეთი, გუდაუთა-აფხაზეთი, ოჟორა-სამაჩაბლო) ცხადჰყოფენ.

ცაგერისა და სულორის ცულის მხედრების პარადული კომპოზიციისგან განსხვავებით ძვ.წ. 6-5 საუკუნეებიდან გავრცელებას იწყებს ბრინჯაოს პლასტიკაში შესრულებული მეომარი მამრი ცხენოსნების დიდი ჯგუფი, რომელიც თემის მხატვრულ ინტერპრეტაციას ძალზე მარტივად, ლაკონიურად და რეალისტურად აღწევს. ამ ჯგუფის სათავეში დგას 6 ს-ის ბრილის N15 სამარხში (რაჭა, ონის რაიონი) ნაპოვნი ბრინჯაოს მხედრის ქანდაკება (სურ.4), რომლის სწორი, მყარი დგომა (H-5, 8 სმ) და მძიმე, მასიური, მკვრივი ფორმებით გადმოცემა უკვე გარკვეულ კონკრეტულობას იძენს. ჩაწნული ფაფრითა და კუდით წარმოდგენილი ცხენის მოხდენილი გამოსახულებაც ანტიკური ეპოქის ესთეტიკის მატარებელი ხდება. ცხენის კისერთან ახლოს მოწეული მამაკაცის ფიგურა ცხოველისგან თითქოს განუყოფელია. ქანდაკება მეომრის სახეს არა მარტო ძლიერი აღნაგობით, ფართო მხრებითა და ხელის მოზრდილი მტევნებით, არამედ დიდი ნებისყოფის მაჩვენებელი ნაკვთებითაც აყალიბებს. განიერი ყბის გამო, მამაკაცს ნიკაპთან სახე უმძიმდება, მკაფიოდ იკითხება მისი დიდი ზომის ყურები, რაც თავისი სახასიათო გამომეტყველებით ალბათ უფრო, მხედართმთავრის პერსონაჟს ქმნის. ამ სქემას სხვადასხვა ვარიაციებით იმეორებენ უფრო მოგვიანო პერიოდის ძეგლები: ძვ.წ. 6-5 საუკუნეების ყაზბეგის განძის შტანდარტსა და სამკერდე ბალთებზე, ახალგორისა და ყანჩაეთის შტანდარტებზე, ბამბორის ველის ძვ.წ. 5ს-ის ეჰრეტკაზე თუ სხვა ნიმუშებზე წარმოდგენილი მხედრის გიგურები. ისინი და გვერდულად მჯდარი მხედარი ქალების ფიგურებიც ცალკე შესწავლას მოითხოვენ.

განხილულმა მასალამ, რომელმაც საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული მხედრის ლითონის პლასტიკის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლები მოიცვა, პირველრიგში ცხადჰყო ჩვენში ცხენოსნის სახის პოპულარობა. აგრეთვე მისი ღრმა სემანტიკური გააზრება, როგორც მხედარი-ღვთაებისა და მხედარი-მეომრის. ყოველივე ამან ცხენოსნის იკონოგრაფიული ტიპის რამოდენიმე ვარიანტის წარმოშობა და ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მათი მდგრადობა გამოიწვია.

სურ. 1 სურ. 2 სურ. 3 სურ.4

გამოყენებული ლიტერატურა

ამირანაშვილი, შ. (1944). ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი: საქ. მეცნ. აკადემია.

პაპუაშვილი, რ. (2010). ანთროპომორფული გამოსახულებები ცაიშიდან, კულტურულ-საისტორიო ძიებანი, თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 46-54.

სურგულაძე,ი. (1993). ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბილისი; სამშობლო.

ფანცხავა, ლ., და მაისურაძე ბ. (2001). ბრინჯაოს ანთროპომორფული ფიგურები შილდის სამლოცველოდან, კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები, თბილისი, 147-154.

ჯავახიშვილი, გ. (1984). ანთროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში, ნეოლოთი-გვიანანტიკური ხანა, თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Брилева О.А. (2012), Древняя бронзовая антропоморфная пластика Кавказа (15 в. до н. э. – 10 в. н. э.). Москва: Таус.

Куфтин, Б. (1949). Материалы к археологий Колхиды, том 1, Тбилиси; Техника да шрома.

Lordkipanidze, O. (2000). The golden Fleece Mith Euhemeristic Explanation and Archaelogy, Oxford jeournal of Archaelogy, N1, 1-29.

Voyatzis M. (1992). Votive riders seated side-saddle at early Greek sanctuaries, Annual of the British School at Athens, 87, pp.259-279, Published online: 01 September 2013.